ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #140

ქ. ბორჯომი **04 მაისი 2022 წელი**

ერთის მხრივ **ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია,** მისამართი: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. #5, საიდენტიფიკაციო კოდი: 226161961 (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის ოთარ არბოლიშვილის სახით

და მეორეს მხრივ **შპს „გორგია“,** მისამართი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის ქ. #140. საიდენტიფიკაციო კოდი: 245621288; წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის ქეთევან ლომაძის სახით (2017 წლის 7 ივლისის #170765119 მინდობილობა) (შემდგომში "მიმწოდებელი")

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლი ა) პუნქტის და მე-9 მუხლის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას იმის გათვალისწინებით, რომ **შემსყიდველმა განახორციელა ონკანების** (CPV44411100) გამარტივებული შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგი თანხით: **600 (ექვსასი) ლარი და 00 თეთრი.**

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ ,,ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ ,,შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი. (დანართი #1)
5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 (ხუთი) კალენდარული დღის** ვადაში.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება ერთიანად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
6.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი.

7. ანგარიშსწორება
7.1 ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
7.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ერთიანად მიღება-ჩაბარების აქტისა და ანაზღაურებისათვის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები
8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა
10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს შესაბამის ინსტანციას ან საქმე განსახილველად გადასცეს არბიტრაჟს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
20.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

,,შემსყიდველი"

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. #5.
საიდენტიფიკაციო კოდი: 226161961
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო
სამსახური, სახაზინო კოდი 300629921
ბანკის კოდი TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები, ბორჯომის თემი;

,,მიმწოდებელი"

შპს ,,გორგია"
ქ. თბილისი, ა. წერეთლის ქ. #114
საიდენტიფიკაციო კოდი: 245621288
ს.ს. ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
#GE62TB1007536020100008

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი
ოთარ არბოლიშვილი

შპს ,,გორგია"-ს დირექტორის
მინდობილი პირი ქეთევან ლომაძე

Municipality of Borjomi

Digitally signed by Municipality of Borjomi
DN: cn=Municipality of Borjomi, 2.5.4.97=NTRGE-226161961, o=..... ....., c=GE
Date: 2022.05.04 14:03:10 +04'00'

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	CPV კოდი	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა
1	ონკანი	30199730	ცალი	10	60	600	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში
სულ:						**600**	

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

20841959528917

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულება/მინდობილობა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი:

№ 170765119

რეგისტრაციის თარიღი:

07 ივლისი, 2017 წ.

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე
მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული,
0102 ქ. თბილისი, საქართველო,
ტელ/ფაქსი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–შემოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას ჩვიდმეტი წლის შვიდ ივლისს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა _ ბატონმა **გია გორგოშაძემ** (დაბადებული 29.12.1970 წ., რეგისტრირებული მისამართი: ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქუჩა №2, პირადი №61003000277).

მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მან განაცხადა, რომ:

ა) არის შპს **„ბი ემ სი გორგიას"** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო №245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10) რწმუნებული და მოქმედებს ამ კომპანიის სახელით;

ბ) როგორც შპს **„ბი ემ სი გორგიას"** რწმუნებულს, სურს, შპს **„ბი ემ სი გორგიას"** რწმუნებულის უფლებამოსილება მიანიჭოს **ქეთევან ლომაძეს** (დაბადებული 11.03.1988 წ.პირადი №26001015243, რეგისტრირებული მისამართი: ლანჩხუთი, ს. ჩიბათი).

გია გორგოშაძემ მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემ მიერ.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ბი ემ სი გორგიას" შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16039067, 14/03/2016 12:36:52);

გ) შპს „ბი ემ სი გორგიას" წესდება (დამოწმებული 03.06.2010 წ. ნოტარიუს ხ. კალანდარიშვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №100531904.

დ) შპს „ბი ემ სი გორგიას" პარტნიორის გადაწყვეტილება (25.03.2013) (ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 26.03.2013 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შტამპი №299).

ე) სანოტარო აქტი _ რწმუნებულება (დამოწმებული 06.03.2017 წ. ნოტარიუს ხ. კალანდარიშვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №170222056).

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

„გია გორგოშაძემ (დაბადებული 29.12.1970 წ., რეგისტრირებული მისამართი: ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქუჩა №2, პირადი №61003000277), როგორც **შპს „ბი ემ სი გორგიას"** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო №245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10) რწმუნებულმა (საფუძველი:სანოტარო აქტი _ რწმუნებულება (დამოწმებული 06.03.2017 წ. ნოტარიუს ხ. კალანდარიშვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №170222056), **ქეთევან ლომაძეს** (დაბადებული 11.03.1988 წ. პირადი №26001015243, რეგისტრირებული მისამართი: ლანჩხუთი, ს. ჩიბათი), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „რწმუნებული", მიანიჭა **შპს „ბი ემ სი გორგიას"** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო №245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10) (შემდგომში მოხსენიებული როგორც **„მარწმუნებელი"**) რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსის შესახებ

რწმუნებული უფლებამოსილია:

ა) მარწმუნებლის სახელით იყიდოს და გაყიდოს უძრავ-მოძრავი ქონება (მატერიალური და არამატერიალური აქტივები და პასივები, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და მისი ცალკეული რეალური და იდეალური წილები/ნაწილები, მოთხოვნები და ვალები/ვალდებულებები, წილები და აქციები...) და ამ მიზნით დადოს ნებისმიერი ფორმის ნასყიდობის გენერალური და/ან ერთჯერადი ნასყიდობის წინარე და ძირითადი ხელშეკრულებები, განსაზღვროს ყველა ამ გარიგების პირობები (მათ შორის, ფასი, თანხა, ვადა და სხვა); ცვლილებები და დამატებები შეიტანოს დადებულ გარიგებებში, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი, გარიგებების დადების ფარგლებში/გარიგებებთან დაკავშირებით გასცეს თანხმობები;

ბ) დადოს იჯარის, ქირავნობის, სესხის/ვალდებულებების აღიარების ხელშეკრულებები, იპოთეკის/გირავნობის, თავდებობისა და ვალდებულებათა უზრუნველყოფის სხვა სახის ხელშეკრულებები, აგრეთვე, **სხვა ნებისმიერი სახისა და შინაარსის გარიგება,** რაც გამომდინარეობს მარწმუნებლისა და მისი კონტრაგენტების სამართლებრივი ურთიერთობებიდან, განსაზღვროს ყველა ამ გარიგების პირობები (მათ შორის, ფასი, თანხა, ვადა და სხვა), ცვლილებები და დამატებები შეიტანოს დადებულ გარიგებებში, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი, გარიგებების დადების ფარგლებში/გარიგებებთან დაკავშირებით გასცეს თანხმობები;

გ) მარწმუნებლის სახელით იყიდოს და გაყიდოს ნებისმიერი ტიპისა და მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალება და დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები, დადოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გირავნობის ხელშეკრულებები და ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი გარიგებები, უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული ნებისმიერი უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოებში, ამ უფლებებისა და ვალდებულებების გაუქმება, მათში ცვლილებების რეგისტრაცია, დამოუკიდებლად განსაზღვროს ყველა ამ გარიგების პირობები (მათ შორის, ნასყიდობის ფასი, სხვა ვალდებულებების მოცულობა და სხვა პირობები), ცვლილებები და დამატებები შეიტანოს დადებულ გარიგებებში, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი, გარიგებების დადების ფარგლებში/გარიგებებთან დაკავშირებით გასცეს თანხმობები.

დ) უზრუნველყოს მარწმუნებლის უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (იპოთეკის/გირავნობის რეგისტრაცია და სხვა...) და რეგისტრირებული უფლებების და ვალდებულებების შეწყვეტა (გაუქმება), რეგისტრირებულ უფლებებსა და ვალდებულებებში ცვლილებების შეტანა;

ე) წარმართოს იძულებითი აღსრულების პროცესი და ამ მიზნით მარწმუნებელი წარმოადგინოს ნოტარიუსთან, კერძო და საჯარო სააღსრულებო დაწესებულებასთან, სასამართლოსა და ნოტარიუსისაგან მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, აღსრულების მიზნით სააღსრულებო ფურცელი წარადგინოს კერძო და საჯარო სააღსრულებო დაწესებულებაში, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც აღსრულების შესახებ კანონმდებლობით მინიჭებული აქვს კრედიტორს და შეასრულოს შესაბამისი ვალდებულებები;

ვ) შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ):

- წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო რეესტრთან, ნოტარიუსთან და სხვა პირებთან;
- მარწმუნებლის სახელით დადოს ზემოთ მითითებული გარიგებები და განსაზღვროს მათი შინაარსი, უზრუნველყოს მარწმუნებლის უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოში;

- ხელი მოაწეროს ყველა იმ დოკუმენტს, რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

- შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც წინამდებარე აქტში არ არის მითითებული პირდაპირ, მაგრამ რაც გამომდინარეობს წინა ქვეპუნქტებში მითითებული უფლებამოსილებებიდან და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

2. რწმუნებული ვალდებულია:

ა) შეასრულოს მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმები და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) მარწმუნებელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

გ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

3. რწმუნებულს ეკრძალება იმ ინფორმაციის გახმაურება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, თუ:

ა) მარწმუნებელს აქვს ინფორმაციის გაუხმაურებლობის კანონიერი ინტერესი.

ბ) კანონი არ ადგენს ინფორმაციის გახმაურების ვალდებულებას.

4. რწმუნებულს **არა აქვს** უფლება, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.

5. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით და ძალმოსილია მის გაუქმებამდე. მარწმუნებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ვადაზე ადრე გააუქმოს წინამდებარე წინამდებარე აქტი.

6. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

7. წინამდებარე აქტი შედგენილია 6 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს."

დანართები:

I. წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 1 დოკუმენტი:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ბი ემ სი გორგიას" შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16039067, 14/03/2016 12:36:52);

II. წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემს სანოტარო არქივში, დამატებით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

სანოტარო აქტი _ რწმუნებულება (დამოწმებული 06.03.2017 წ. ნოტარიუს ხ. კალანდარიშვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №170222056).

III. ჩემს სანოტარო არქივში ინახება წინამდებარე აქტში მითითებული შემდეგი დოკუმენტები:

ა) შპს „ბი ემ სი გორგიას" წესდება (დამოწმებული 03.06.2010 წ. ნოტარიუს ხ. კალანდარიშვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №100531904).

ბ) შპს „ბი ემ სი გორგიას" პარტნიორის გადაწყვეტილება (25.03.2013) (ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 26.03.2013 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შტამპი №299).

შენიშვნა:

„ა-ბ" ქვეპუნქტებში მითითებული დოკუმენტები დანართების სახით თან ერთვის ჩემს სანოტარო არქივში დაცულ სანოტარო აქტს მოძრავი ქონების ნასყიდობის

გენერალური ხელშეკრულების შესახებ (დამოწმებული 29.09.2016 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №161129241).

სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №140.

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31, 34, 39 მუხლებისა):

ა) ნოტარიუსის საზღაური: 18.0 ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2,0 ლარი;

სულ: 20.00 ლარი.

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებლის წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი შპს **„ბი ემ სი გორგია"**
(რწმუნებული გია გორგოშაძე)

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

ფურცლების რაოდენობა 6

საქართველო • GEORGIA. NOTARY OTAR ZOIDZE • ГРУЗИЯ. НОТАРИУС ОТАР ЗОИДЗЕ • 01011002172